ზაზა დიასამიძე

# ხელვაჩაურის მერობის

# 365 დღე

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## მართვის პოლიტიკა

- განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე სისტემური,ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.
- შეიქმნა ა(ა)იპ მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო, რომლის მიზანია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელვაჩაურის ტერიტორიაზე მშენებლობის და მუნიციპალიტეტის იერსახის ინსპექტირება.
- შეიქმნა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური, ბავშვთა ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს.
- მოქალაქეთათვის უფრო ეფექტური და მყისიერი მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაინერგა ელექტრონული დოკუმენტრბუვის სისტემა MSDA.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# მოქალაქეთა ჩართულობის პოლიტიკა

- მუნიციპალიტეტში დამტკიცდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა, რომელიც გულისხმობს მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავებას, რომლის ღირებულებაა 60 000 ლარი.

- შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომლის მიზანია რჩევებისა და რეკომენდაციების წარდგენის გზით მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში.

- სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხის წარმართვა.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა

ბენეფიციართა სოციალური უზრუველყოფისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით მოქმედებს 19 მიზნობრივი პროგრამა რომლის ბიუჯეტი ჯამში შეადგენდა **2 395 662** ლარი.

1. მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
2. მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
3. 0-დან 200 000-მდე ქულის მქონე ოჯახებისათვის პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
4. 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
5. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის უზრუნველყოფა) მატერიალური დახმარება“

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა

6. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა
7. გაზიფიცირების პროგრამა 0-დან 100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის.
8. ომის ვეტერანებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე დახმარება და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება.
9. მრავალშვილიანი და დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
10. დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა.
11. ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა

12. 0-დან-200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, მოვლის საჭიროების პირთა დახმარება.
13. პარკინსონით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
14. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა.
15. მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკიამენტებით უზრუნველყოფა“ (200 ლარიანი ვაუჩერი).
16. თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის.
17. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი დახმარება.
18. სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარებ.
19. პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკა

- შეშის ჩანაცვლება ალტერნატიული წყაროთი – ბრიკეტით", რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა სოციალურად დაუცველი 375 კომლი.
- სოციალურად დაუცველ იმ ბენეფიციართა სითბოთი უზრუნველყოფისთვის ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა, რომლებსაც არ გააჩნიათ სათბობი საშუალება ან/და ვერ იყენებენ სათბობად ბუნებრივ აირს/გაზს და სხვა"ს, რომლის მიზანია სოციალური სარგებელის გარდა, გარემოსდაცვითი სარგებელი, კერძოდ, ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტის აღკვეთა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 500 (ხუთასი) სოციალურად დაუცველ ოჯახს.
- დამატებით მეორე ხარისხის საშეშე ხე-ტყით დაკმაყოფილდა 46 ოჯახი 150 მ3 ოდენობით.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა

- 2022 წელს დაკმაყოფილებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული 48 ოჯახი (ქარი, თოვლი, ხანძარი, გრუნტის წყლები), რომელთა საერთო თანხამ, როგორც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან შეადგინა 362 805 ლარი.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## განათლებისა და კულტურის პოლიტიკა

- პროფესორ ალექსანდრე მსხალაძის სახელობის მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა, რაც მიზნად ისახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლების, წარჩინებული მოსწავლეების ერთჯერადად დაჯილდოებას. 54 მოსწავლე. 13500 ლარი.
- აკადემიკოს ვახტანგ შამილაძის სახელობის სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა, რაც გულისხმობს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა დაჯილდოებას სემესტრულად. რომლის ფარგლებშიც დანინასდა 76 სტუდენტი, პროგრამის ღირებულება 40 000ლ.
- განხორციელდა სპორტული ღონისძიებების 6 სხვადასხვა პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა – 95 450 ლარს.
- ჩატარდა 12 სხვადასხვა კულტურული ღონისძიება და პროგრამა, ბიუჯეტი – 179 560 ლარი.
- ახალგაზრდული ცენტრის 8 პროგრამისა და ღონისძიების თანხა 21 000 ლარი.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# განათლებისა და კულტურის პოლიტიკა

## სპორტული ღონისძიებების პროგრამები და ბიუჯეტი (95 450 ლარი).

- ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის სამოყვარულო ტურნირების ხელშეწყობის პროგრამა;
- საჯარო სკოლებს შორის სპორტული თამაშების პროგრამა;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჭადრაკის ხელშეწყობის პროგრამა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, ძიუდო, მშვილდოსნობა, ძალოსნობა) ტურნირების ხელშეწყობის პროგრამა.
- 2022 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის ჯილდოს გაცემის პროგრამა;
- შპს საფეხბურთო კლუბ მაჭახელასთვის ინვენტარის შეძენა.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# განათლებისა და კულტურის პოლიტიკა

## კულტურული ღონისძიებების პროგრამები და ბიუჯეტი (95450 ლარი)

- საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალების შემკობა-მათი გახსენების პროგრამა;
- გენდერის მიმართულებით კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;
- მუნიციპალიტეტის ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;
- სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი სახალხო დღესასწაულების ორგანიზების პროგრამა;
- ანიმაციის განვითარება, ხელშეწყობა-სწავლება და ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის გასვლითი ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი და საშუალო განათლების პროგრამების დაფინანსება;
- შშმ პირთა ხელშეწყობის პროგრამა;

ხელვაჩაური

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ეკოლოგიური პოლიტიკა

- გარემოს შენარჩუნების მიზნით ბრიკეტის პროგრამამ ჩაანაცვლა 1700 მ3 საშეშე ხე-ტყის გამოყენება.
- გამწვანების მიზნით დაირგო 200 ძირი წიწვოვანი ნერგი სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.
- ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით მიმდინარეობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შემუშავება.
- სუფთა გარემოს შენარჩუნების მიზნით დამატებით შეძენილი იქნა 100 (ასი) ერთეული ნარჩენების შეგროვების კონტეინერი.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ინფრასტრუქტურული პოლიტიკა (დასრულებული)

- ახალშენის საბავშვო ბაღი – 2 201 000 ლარი;
- სოფლის მხარდამჭერის პროგრამით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი იქნა 968 000 ლარი, რომლითაც მოწესრიგდა ბეტონის საფარით 15 კმ გზა, მოეწყო გარე განათება.
- სოფელ ახალსოფელში მოეწყო სკვერი.
- დასრულებულია გარე განათების მოწყობა 7 სხვადასხვა ლოკაციაზე.
- დასრულებულია 138 ლოკაციაზე ფერდსამაგრი კედლების მოწყობა.
- ახალსოფლის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, ღირებულება 2 392 000 ლარი – მოემსახურება ახალსოფელსა და ჭარნალში მცხოვრებ 1000-ზე მეტ ოჯახს.
- აშენდა 3 სამანქანო ხიდი საერთო ღირებულებით 596 799 ლარი;
- დასრულდა თხილნარის აგარის დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია.
- სოფელ ქვედა ქოქოლეთში აშენდა მედპუნქტი (38 599 ლარი).

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ინფრასტრუქტურული პოლიტიკა (მიმდინარე)

• მიმდინარეობს ორთაბათუმის ცენტრის კეთილმოწყობითი სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 324 927 ლარს.
• მიმდინარეობს ახალშენის ცენტრის კეთილმოწყობა. პროექტის ღირებულება – 173 989 ლარი.
• განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება 10 პროექტი.
• მიმდინარეობს სოფელ ხელვაჩაურში N1 საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები – 150000 ლარი;
• სოფ. ახალსოფელში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის შენობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები.
• წლის ბოლომდე დასრულდება გზების ბეტონის საფარით მოწყობა 21 ლოკაციაზე (1330245 ლარი).
• წლის ბოლომდე დასრულდება გარე განათების მოწყობა 3 სხვადასხვა ლოკაციაზე.
• მიმდინარეობს 4 ლოკაციაზე ფერდსამაგრი სამუშაოები.
• მაჭახელას თემში მიმდინარეობს საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის პროცესი.
• თანაბარი შესაძლებლობები ქალაქისა და სოფლისთვის, მიმდინარეობს საყოველთაო ინტერნეტიზაცია, რომლის ფარგლებშიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაიწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის მშენებლობა.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ინფრასტრუქტურული პოლიტიკა (დაგეგმილი)

- დაგეგმილია სოციალური სახლის მშენებლობა ეკომიგრანტი ოჯახების დასაკმაყოფილებლად.
- იგეგმება სოფელ კირნათის ცენტრის კეთილმოწყობა.
- სოფელ განთიადში დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა 150 აღსაზრდელზე, ასევე მუსიკალური სკოლისა და სკვერის მოწყობა.
- იგეგმება სოფელ წინსვლაში, მასაურაში, სალიბაურში და ახალშენის მეურნეობაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა.
- დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 3 დაწყებითი სკოლის სრული რეაბილიტაცია (მასაურა, ხეღრუ მახინჯაური).
- სოფელ ახალოსფელში დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა 150 აღსაზრდელზე.
- სოფელ ახალსოფელში დაგემილია სპორტული კომპლექსის მშენებლობა, სტადიონისა მაღალი სტანდარტებით რეაბილიტაცია და საფეხბურთო კლუბ მაჭახელას ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.
- სოფელ ზედა ჭარნალში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა – 78212 ლარი.
- სოფელ ერგეს ცენტრში დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- დაგეგმილია სოფ.ნიკიტაურში არსებული წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია – 36938ლ.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

# სატრანსპორტო პოლიტიკა

- მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მერიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია მოსახლეობისათვის ინტეგრირებული სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზება.

- მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდა შესწავლა საზოგადოებრივი ტრანსპორტის 12 (თორმეტი) ახალი მიმართულებების დამატების შესახებ.

# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ბიუჯეტის მაჩვენებელი



# ხელვაჩაურის მერობის 365 დღე

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კაპიტალური ღონისძიებები შეადგენს 15 032 744 ლარს

- სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა – 4 300 000;
- შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია – 1 000 000;
- სოციალური სახლის მშენებლობა – 4 000 000;
- სოფელ კირნათში სკვერის მოწყობა – 1 500 000;
- სოფელ ახალსოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა – 1 500 000;
- საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (2 გარდამავალი პროექტი 2022-2023წლები) – 902 246;
- წყლის სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია – 700 000;
- ადმინისტრაციული შენობის გათბობა მოწყობა (გარდამავალი პროექტი 2022-2023წ) – 170 498;
- საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთება გადახურვა (ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა) – 200 000;
- დაწყებითი სკოლების მოწყობა რეაბილიტაცია – 700 000;
- მონაწილეობითი ბიუჯეტი – 60 000.